უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 06.05.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
ლია ღლონტი - ERASMUS + საქართველოს ეროვნული ოფისის კოორდინატორი;
ბორის ლეჟავა - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნეს სკოლის დეკანი;
ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. მედეა მჭედლიძე - შპს საერთაშორისო აკადემიის რექტორი;
2. ვასილ ბარამიძე - შპს საერთაშორისო აკადემიის იურიდიული სამსახურის უფროსი;
3. ირაკლი მორგოშია - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის დირექტორი;
4. თამარ გიორგობიანი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ნინო ბერძენიშვილი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის იურისტი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
თამარ გვიანიშვილი;
დავით ბოსტოღანაშვილი;

ენვერ ლაგვილავა;
თამარ ტუფინაშვილი;
ქეთევან ცეცხლაძე;
რევაზ ხოფერია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:05 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა საბჭოს წინაშე წარადგინა შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის შუამდგომლობა, დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე. წარმოდგენილ შუამდგომლობაში მითითებული იყო, რომ დაწესებულების რექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. შპს საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ თამარ გვიანიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა შემდეგი: შპს „საერთაშორისო აკადემიის" დამფუძნებელთა საერთო კრების ორი სხვადასხვა ოქმით დადგინდა, რომ დაწესებულების რექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს მედეა მჭედლიძე და მასზე გაიცეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა მესამე პირთან ხელმოწერისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭებით. არც დამფუძნებელთა კრების ოქმიდან, არც დირექტორის ბრძანებიდან და არც შრომითი ხელშეკრულებიდან არ ჩანს დირექტორის მხრიდან რექტორზე ხელმძღვანელობის უფლებამოსილების გადაცემა. დოკუმენტურად დასტურდება მხოლოდ მესამე პირებთან რექტორისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემა. საქართველოს კანონმდებლობითა და შპს საერთაშორისო აკადემიის წესდებით, ხელმძღვანელობისა და შესაბამისად მმართველობითი ფუნქციის განხორციელება ეკისრება საზოგადოების დირექტორს. წესდებით ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებას. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამ უფლებამოსილების რექტორისათვის გადაცემის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. შესაბამისად რექტორის მიერ გამოცემული ყველა აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება რექტორმა გადასცა თავის თავს, კერძოდ 2015 წლის 29 იანვრის ბრძანებით №2/11 მან დამტკიცდა შპს „საერთაშორისო აკადემიის" დებულება (ახალი რედაქცია), რომლითაც განისაზღვრა აკადემიის სტრუქტურა და რექტორის ფუნქციები და უფლება მოვალეობები (მე-12 მ.), მათ შორის ის, რომ რექტორი არის დაწესებულების მმართველი პირი. ასევე, დაამტკიცა დაწესებულების ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა დაწესებულების შინაგანაწესი, დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, საგანმანათლებლო პროგრამა და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რექტორისთვის შპს ,,საერთაშორისო აკადემიის" ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით მხედველობაში მისაღები იყო შემდეგი გარემოებები: ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის მიხედვით ბორის მჭედლიძემ, როგორც ,,შპს - საერთაშორისო აკადემიის" დირექტორმა მედეა მჭედლიძეს, საზოგადოების სახელით, მიანიჭა მესამე პირთან ხელმოწერისა და წარმომადგენლის უფლებამოსილება. ის ფაქტი, რომ მინდობილობაში დაფიქსირებული იყო... მხოლოდ რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ნებისმიერ დაწესებულებაში და შეასრულოს ის ფორმალური მოქმედებები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან'' და ხაზგასმული არ იყო დაწესებულების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების დელეგირება, წარმოადგენდა

მხოლოდ უფლებამოსილების გადამცემის ნების გამოხატვის არასრულყოფილ ფორმულირებას. ამასთან, თვითონ ის ფაქტი, რომ მის თანამდებობად განისაზღვრა განათლების სფეროში მიღებული ტერმინი ,,რექტორი", მიუთითებდა საწარმოს დირექტორის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის ყველა აუცილებელი იურიდიული მოქმედებების განხორციელების გადაცემაზე.

თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე არ ვრცელდებოდა ამ კანონის IV თავით გათვალისწინებული ნორმები, მათ შორის მუხლები „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა" და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი)". დამფუძნებელთა კრების ოქმში და არც დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებაში ,,რექტორის დანიშვნის შესახებ", არ იყო მითითებული, რომ რექტორს მინიჭებოდა უფლებამოსილება ,,უმაღლესი განთლების შესახებ" კანონში არსებული ჩანაწერის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით დასკვნაში ასევე დაფიქსირებული იყო შემდეგი ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 არ დგინდება რექტორის უფლებამოსილება, დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამა, რადგან პროგრამის დამტკიცების მომენტისთვის (24.01.2015) პარტნიორთა კრების (ოქმი №1, 22.01.2015) დადგენილებით მას უდასტურდება მხოლოდ მესამე პირებთან წარმოდაგენლობის უფლებამოსილება;

1.2 ბიზნეს სკოლის საბჭოს მიერ მოდიფიცირებული პროგრამის განხილვის ოქმში მითითებულია, რომ „პროგრამის მიზნები შეესაბამება მისიას და ... იძლევა საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც აუცილებელია შიდა ეროვნულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ჩამოყალიბებისთვის" – თუმცა, მისიის თანახმად, დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს „ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობას", რაც ამავე დროს წარმოადგენს დაწესებულების დებულებაში მითითებულ ერთ–ერთ ძირითად მიზანს. გამოდის, რომ ბიზნეს სკოლის და აკადემიურმა საბჭოებმა განიხილეს და მოიწონეს, რექტორმა კი დაამტკიცა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ შეეასაბამება და-წესებულების მისიას და დაწესებულების დებულებით განსაზღვრულ ძირითად მიზნებს;

1.3 წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (ბიზნეს სკოლის და აკადემიური საბჭოების სხდომის ოქმები, რექტორის ბრძანებები) არ დგინდება, რამ გამოიწვია პროგრამის მოდიფიცირების აუცილებლობა, როდის დაიწყო პროგრამის მოდიფიცირებაზე მუშაობა, ვინ იყო ჩართული ამ პროცესში და ა.შ. არსებობს მხოლოდ უკვე დასრულებული მოდიფიცირებული პროგრამის განხილვა–დამტკიცების აქტები (საბჭოების სხდომის ოქმები, რექტორის ბრძანება), საიდანაც არ დგინდება რა ცვლილებები განიცადა საგანმანათლებლო პროგრამამ – რამდენად შეიცვალა მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის კომპონენტები და/ან სხვ. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმში არსებობს მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტება, რომ „საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან". პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ: პროგრამის მოდიფიცირება მოხდა მათი ინიციატივით; პროგრამის მოდიფიცირებაზე მუშაობა დაიწყო იანვარში; პროგრამის სასწავლო გეგმიდან მოხდა „ტურიზმის" არჩევითი მოდულის ამოღება, სილაბუსების ახალ ფორმაში ინფორმაციის გადატანა, რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში მითითებული ლიტერატურის განახლება; დასრულებული კურიკუ-ლუმი და სილაბუსების გადაეცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

1.4 პროგრამის მოდიფიცირების პერიოდში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კერძოდ, „საერთო მოთხოვნები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისადმი" ადგენდა, რომ უნდა იყოს შემუშავებული და ხორციელდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და

პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების, მონაწილეობის მექანიზმი. დაწესებულებაში არსებული დოკუმენტებიდან არ დგინდება ამ პირთა ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში;

1.5 მოდიფიცირებული პროგრამის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების თარიღისთვის (24.01.2015) მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების" თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური „ახდენს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ... მოდიფიცირებას, როგორც საკუთარი ძალებით, ისე მოწვეული ექსპერტების დახმარებით" (მ.2, პ.3.), „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის" თანახმად კი „შეარჩევს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემფასებელს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამზადებს აკადემიის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან შემფასებელს" (მ.2, პ.1 „გ"). ამავე დოკუმენტის (მ. 6) თანახმად, პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები ან პოტენციური დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სხვ.) „ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, ... საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევის მეთოდით", კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით, „კვლევის შედეგების საფუძველზე კი შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს მიმართულებას – ... გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნები ... პროგრამის განვითარების მიმართულებით". მიუხედავად თავად დაწესებულების მიერ დადგენილი მოთხოვნებისა, დოკუმენტურად არ დასტურდება პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ხარისხის სამსახურის მიერ ზემოთ მითითებული საქმიანობის (მაგ., პროგრამის და სილაბუსების შეფასებისას უკვე შემუშავებული ფორმების გამოყენება, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვა, კვლევის ჩატარება) ან ზოგადად, დაწესებულების მიერ ამ მიმართულებით რაიმე სახის აქტივობის განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ ამას ითვალისწინებდა პროგრამის მოდიფიცირების პერიოდში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კერძოდ „საერთო მოთხოვნები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისადმი" (მ.10.6 „კ").

დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ექსპერტის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის დაწესებულების დებულებით განსაზღვრულ ძირითად მიზნებთან ნაწილობრივ შესაბამისობის შესახებ, გამოტანილი იყო მხოლოდ მოდიფიცირებული პროგრამის განხილვის ოქმში მითითებულ ერთ ფრაზაზე დაყრდნობით. მსგავსი დასკვნა წარმოადგენდა ზედაპირულ შეფასებას და ექსპერტის კერძო მოსაზრებას. დაწესებულებას პრაქტიკის განხორციელებისთვის და ზოგადად სამომავლოდ დასაქმების კუთხით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ტაო-პრივატ ბანკთან, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის გავლას და დასაქმების პერსპექტივას მომავალში. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით და მის მიერ შემუშავებული ფორმებით პირველი კონკურსის შედეგად არჩეულმა აკადემიურმა პერსონალმა, რომლებმაც წარმოადგინეს კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისი სილაბუსები, რაც ასევე ექსპერტთა ვიზიტის დროს ზეპირ გამოკითხვაში და ინტერვიუში დადასტურდა. ამასთან, ეს იყო აკრედიტაციის საკითხი, რადგან საქმე ეხებოდა პროგრამის შინაარსს, რადგან პრაქტიკა წარმოადგენდა პროგრამის ნაწილს.

თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ მისიასთან ნაწილობრივად შესაბამისობა იყო არა ექსპერტების, არამედ სხდომაზე დამსწრე პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრება, რომელიც კონკრეტულად მიუთითებდა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა „შიდა" ბაზრის მოთხოვნას. ტაო-პრივატ ბანკთან დადებული იყო ხელშეკრულება პრაქტიკის გავლის მიზნით. სხვა რამ დოკუმენტურად (გამოკითხვა, რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი - ბანკის წარმომადგენლებისთვის ამ საკითხზე

მიმართვა ან მათი პასუხი) არ დასტურდებოდა. ეს არ იყო აკრედიტაციის საკითხი, რადგანაც აქ არ იყო საუბარი, იმაზე თუ შინაარსობრივად რა დააკლდა პროგრამას დამსაქმებლების არ ჩართულობის გამო. საუბარია იყო იმაზე, რომ დაწესებულებამ არ შეასრულა ის მოთხოვნები, რომლებიც თავად დაადგინა და დაამტკიცა მოქმედი რეგულაციების სახით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაგრძო დასკვნის წარდგენა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა ასევე შემდეგი სახის შენიშვნები:

1.6 არ არის გათვალისწინებული უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (თ. VI, მ.43, პ.7) მოთხოვნა: „სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, ამ კანონის გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით..... უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას". კერძოდ: - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დებულებაში (მ.30) და შინაგანაწესში (მ.12) მოცემულია ნაწილობრივ განსხვავებული ინფორმაცია, თუ რა მიიჩნევა იმ არაეთიკურ ქცევად, რომელიც იწვევს დისციპლინურ სანქციას, მაგ., დებულებით – ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შემოტანა, გამოყენება, სხვებისთვის გადაცემა; სხვა სტუდენტების საკუთრების ხელყოფა, დაზიანება/განადგურება, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახის შეზღუდვა, ნივთის დაუფლება, ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ და სხვ., შინაგანაწესით კი – ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, მატერიალური და საბიბლიოთეკო ფონდის დაზიანება, ბილწსიტყვაობა, პლაგიატი და სხვ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მ. 12, პ.12.2 „ი") თანახმად, დებულებაში გათვალისწინებული ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი. გამოდის, რომ სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტატუსი დებულებით გათვალისწინებული გადაცდომის, მაგ., აკადემიის შენობაში თამბაქოს მოწევის გამო, მაგრამ ეს სანქცია ვერ იქნება გამოყენებული ძალადობის, სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ფიზიური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში, რადგან ეს გადაცდომა გათვალისწინებულია შინაგანაწესში და არა დებულებაში;

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი (პ. 12.2) „აკადემიის დებულებით განსაზღვრული ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი ერთი სემესტრის მანძილზე და მიეცეს რეკომენდაცია სხვა უსდ–ში გადასვლაზე". თუ სტუდენტი არ გადავიდა მობილობით სხვა უსდ–ში, „აკადემია მომდევნო მობილობის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ აღადგენს სტუდენტის სტატუსს და აძლევს მკაცრ გაფრთხილებას ეთიკური ნორმების დარღვევის გამო". – რაც უბრალოდ არარელევანტურია, რადგან გამოდის, რომ ჯერ იყენებენ უფრო მკაცრ ზომას – სტატუსის შეჩერებას ანუ სასწავლო პროცესიდან ჩამოშორებას, მერე კი იმავე გადაცდომისთვის იყენებენ უფრო მსუბუქ სანქციას – „გაფრთხილებას", გამოდის რომ სტუდენტი იქნება სასწავლო პროცესისგან ჩამოშორებული იმ დარღვევისთვის, რომლისთვისაც შესაზლეველია გაფრთხილების მიცემა;

- გაუგებარია დაწესებულების დებულებაში (მ.30, გვ. 19) არსებული ჩანაწერი, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმა (ზომა) უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის ხარისხსა და სიმძიმეს და ასევე ეთიკის კოდექსის დამრღვევი პირის სტატუსსაც.

1.7 რიგ შემთხვევაში ფიქსირდება შემდეგი სახის უზუსტობები და შეუსაბამობები. მაგ.:

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი (პ. 12.2 „ი", „დ") „აკადემიის დებულებით განსაზღვრული ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი ერთი სემესტრის მანძილზე და მიეცეს რეკომენდაცია სხვა უსდ–ში გადასვლაზე". თუ სტუდენტი არ გადავიდა მობილობით სხვა უსდ–ში, „აკადემია მომდევნო მობილობის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ აღადგენს სტუდენტის სტატუსს და აძლევს მკაცრ გაფრთხილებას ეთიკური ნორმების დარღვევის გამო". გაუგებარია რას ნიშნავს უკვე სტატუსეჩერებული სტუდენტისთვის

„მომდევნო მობილობის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ სტატუსის აღდგენა“, რადგან ერთზე მეტჯერ სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის საჭიროა ერთზე მეტჯერ სტატუსის შეჩერება. დისციპლინური გადაცდომისთვის სტატუსის შეწყვეტა დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული არ არის;

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი (პ. 12.2 „ი“, „დ“) – სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია „განსაკუთრებული ოჯახური მდგომარეობის გამო (არაუმეტეს 1 სემესტრისა)“, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომლის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია 5 წლის ვადით, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ კი პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და აღდგენის (მ.14, პ.14.3, 14.4) წესი – მითითებულია, რომ „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით, გარდა სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში“, ასევე მითითებულია, რომ „დაწესებულების სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის გაგრძელების დასაშვები სემესტრი განისაზღვრება ... სტატუსის შეწყვეტამდე ათვისებული პროგრამის აკადემიური ცნობის საფუძველზე“. მითითებული ჩანაწერები არ შეესაბამება მოქმედ კამონმდებლობას, რომლის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება არა „შეწყვეტილად“, არამედ „შეჩერებულად“ და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- არ შეესაბამება კანონმდებლობას არც „სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესში“ (მ.13, პ. 13.5) არსებული ჩანაწერი – „სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა/შეუწყდა სტუდენტის სტატუსი“, რადგან ამ შემთხვევაში გათანაბრებულია სტატუსშეჩერებული სტუდენტის და სტუდენტის სტატუსშეწყვეტილი პირის სწავლის გაგრძელების პირობები;
- „სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი“ (მ.11) – ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლა დასაშვებია „პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“ (პ.11.7), უნდა იყოს – „პირებისათვის (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“;
- სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი (მ. 17) - მითითებულია, რომ დაწესებულების პროგრამის და გამომშვები დაწესებულების პროგრამის ერთსა და იმავე სასწავლო კურსის კრედიტების „მცირეოდენი სხვაობის“ შემთხვევაში კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის სასარგებლოდ, მაგრამ არ არის განსაზღვრული რამდენი კრედიტი მოიაზრება „მცირეოდენ სხვაობაში“;
- მითითებულია, რომ „პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტითა და დასკვნით“, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები დაწესებულების პროგრამების შესაბამისობა და „ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა“. გამოდის, რომ დასკვნაში მითითებული კრედიტები შეიძლება იყოს „აღიარებული“ ან „თავსებადი“. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, „აღიარება ფორმდება მიმღები დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა“.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასახელებულ შენიშვნებთან მიმართებით განმარტა, რომ პირველ შენიშვნასთან დაკავშირებული საკითხი გაწერილია დაწესებულების რამდენიმე სამართლებრივ დოკუმენტში. შინაგანაწესში საკითხი ზოგადად არის წარმოდგენილი, ხოლო დაწესებულების დებულებაში იგი დაკონკრეტებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული ქცევის წესები, რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია ,,განსაკუთრებული ოჯახური მდგომარეობის გამო (არაუმეტეს 1 სემესტრისა)." დასკვნის შესაბამისად, აღნიშნული არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია 5 წლის ვადით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით და შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. ამდენად, სტუდენტის სტატუსის შეჩერება ,,არაუმეტეს 1 სემესტრის'' სწორედ ეს შემთხვევაა. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. თუმცა შესაძლებელია არსებობდეს აღნიშნული პუნქტის უკეთ ფორმულირების აუცილებლობა. იგივე სახის ხარვეზი იყო აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის მე-3 პუნქტში, რომელთან დაკავშირებითაც განიმარტა, რომ ფორმულირება ნაცვლად ,,სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 12 თვისა'' მითითებულია ,,შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში". დაწესებულების პროგრამის და გამომშვები დაწესებულების პროგრამის ერთსა და იმავე სასწავლო კურსის კრედიტების ,,მცირეოდენი სხვაობის" შემთხვევაში კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში კრედიტების აღიარება ხდება კონკრეტული დარგის აკადემიური პერსონალის მიერ, შესაბამისად ,,მცირედ სხვაობა" დგინდება კომპეტენტური დარგის სპეციალისტების მიერ გონივრულობის ფარგლებში და გულისხმობს შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს სამუშაოს ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგის მისაღწევად. სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესში (მ.11), აღნიშნული შეუსაბამობა/უზუსტობა, არ ეწინააღმდეგება კანონში არსებულ იგივე საკითხის მარეგულირებელ მოთხოვნას, შესაბამისად არსებული ჩანაწერი რელევანტურია. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება არ არის ვალდებული გადმოაკოპიროს კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი და უფლებამოსილია საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს ნორმის შინაარსი, ამიტომ შენიშვნა არ მიაჩნიათ არსებითად.

თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი. რა თქმა უნდა, დაწესებულებას შეუძლია გააკეთოს ჩანაწერის პერეფრაზი იმ პირობით, რომ კანონმდებლობაში არსებული ნორმის ან განმარტების შინაარსი იქნება სრულად გადმოცემული და ზუსტად ამაზე ხდება დასკვნაშიც მითითება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების მოცემული სტრუქტურული ერთეულები ძირითადად უზრუნველყოფენ დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ამასთან, დაწესებულების მისიით განსაზღვრულ სტრატეგიულ ამოცანებში დასახელებულია ,,კურსდამთავრებულთა მდგრადი კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა", თუმცა დაწესებულების სტრუქტურაში არაა გათვალისწინებული შესაბამისი ფუნქციის მატარებელი თანამდებობის პირი ან/და სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის შექმნა არაა გათვალისწინებული

არც შპს საერთაშორისო აკადემიის განვითარების ერწლიან და სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან (6–წლიან) სამოქმედო გეგმაში;

2.2 საქმისწარმოების თვალსაზრისით ადგილი აქვს მონაცემების აღრევას. არ ემთხვევა ცალკეულ დოკუმენტსა და რეგისტრაციის ჟურნალების მონაცემები, მაგ.: შპს საერთაშორისო აკადემიის განვითარების ერთწლიან სამოქმედო და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები დოკუმენტზე აღნიშნული მონაცემების მიხედვით დამტკიცებულია რექტორის 2015 წლის 16 იანვრის ბრძანებით №2/3, თუმცა შპს საერთაშორისო აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №1 თანახმად ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმების რექტორისთვის წარდგენა გადაწყდა 2015 წლის 23 იანვარს, ხოლო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში 2015 წლის 16 იანვარს რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი ბრძანება №2/2 (საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დანიშვნის შესახებ), №2/3 ბრძანება (20.01.2015) კი ეხება აკადემიური პერსონალის გამწესებას. ამავე დროს, ბრძანების ამონაბეჭდით დგინდება, რომ ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია რექტორის 2015 წლის 24 იანვრის ბრძანებით №2/8. გარდა ამისა, „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება", დოკუმენტზე აღნიშნული მონაცემების მიხედვით დამტკიცებულია რექტორის 2015 წლის 25 იანვარის ბრძანებით №2/8, თუმცა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალსა და ბრძანების მიხედვით, აღნიშნული დებულება დამტკიცებულია რექტორის 2015 წლის 24 იანვრის ბრძანებით №2/7. ამდენად, არ დასტურდება არსებული საქმისწარმოების სანდოობა;

2.3 ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია 2015 წლის 24 იანვარს, მის დასახელებაში მითითებულია „2015 წელი" და, შესაბამისად, მასში უნდა იყოს ასახული 2015 წლის მიზნების, აქტივობების, შესრულების ვადების და მიღებული შედეგების ჩამონათვალი. მიუხედავად ამისა, გეგმაშე ასევე მითითებულია 2014 წლის დეკემბერს განსახორციელებელი „სტრატეგიის მიზნები" და „აქტივობები" – მაგ., ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მოდიფიცირება ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინება, ბიბლიოთეკის განახლება ახალი ლიტერატურით და ა.შ.; რიგ შემთხვევაში დაგეგმილი აქტივობები არ განხორციელდა – მაგ., დღემდე არ მოხდა 2015 წლის იანვარში დაგეგმილი „აკადემიური საბჭოს მორიგი სხდომის მოწვევა, საბჭოს შემადგენლობაში მეორე აკადემიური კონკურსის გამარჯვებული აკადემიური პერსონალის შეყვანა" მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნა მოხდა 2015 წლის 20 იანვარს;

2.4 ექვს წლიანი სტრატეგიული გეგმა (2015–2021) შედგება 6 გვერდისაგან, რომელშიც მოცემულია სატიტულო ფურცელი 1 გვერდად, აკადემიის მისია 2 გვერდად, აკადემიის რესურსებს 1 გვერდად, სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმა (2015–2021 წწ) კი – 2 გვერდად. დოკუმენტი არ მოიცავს სტრატეგიული განვითარების გეგმის აუცილებელ კომპონენტებს – მასში არ არის განსაზღვრული მთლიანად დაწესებულების გრძელვადიანი (6–წლიანი) მიზნები და ამოცანები, მათი მიღწევის გზები, მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები, რელევანტური ვადები და მოსალოდნელი შედეგები. სტრატეგიული გეგმა უნდა გამომდინარეობდეს მისიიდან, ემსახურებოდეს მისიის შესრულებას და ასახავდეს დაწესებულების განვითარების მიმართულებებს, დინამიკას და იმ ხარისხობრივ შედეგს – განვითარების დონეს, რომელსაც სურს მიაღწიოს დაწესებულებამ ამ გეგმის შესრულების შედეგად, რაც შემდგომში უნდა გახდეს ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების ბაზისი. დოკუმენტი წარმოადგენს მხოლოდ ცალკეული აქტივობების ჩამონათვალს, რომელთანაც დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი – დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართილებები და მიზნები ვერ იქნება, მაგ., ინტერაქტიული აუდიტორიების (2015 წ.), ეზოში საკვები ობიექტის/სასადილოს (2015 წ.) მოწყობა, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით მცირე კამპუსის ტიპის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება (2015–2016 წწ.), საშვთა სისტემის დამონტაჟება (2017 წ.), საკონფერენციო დარბაზის აღჭურვა ვიდეოკონფერენციის სისტემით (2015 წ.), საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა (2015 წ.), აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება (2014 წ.), საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (2016–

2017 წწ.), აკადემიის ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება (2018 წ.) და თუნდაც სტუდენტების სოციალური დაცვის გაძლიერება და უზრუნველყოფა (2018–2019 წწ.). ასევე გაუგებარია, რატომ არის დაგეგმილი 6-წლიანი გეგმის მხოლოდ ბოლო, 2021 წელს სტუდენტების ცოდნის ხარისხის ამაღლება და აკადემიური მოსწრების ზრდა, როგორც ეს მითითებულია წარმოდგენილ დოკუმენტში. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტით, რომლშიც არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და მისაღწევი შედეგები, არ დგინდება რა მიზანს ისახავს დაწესებულება და რა შედეგის მიღწევა სურს ამ 6-წლანი გეგმით , რამდენად რელევანტურია მითითებული ვადები, ემსახურება თუ არა დაგეგმილი აქტივობები მისიის მიღწევას და დაწესებულების პროგრესირებად და თანმიმდევრულ განვითარებას.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ თუ დაწესებულებას აქამდე არ ქონდა ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სტარატეგიული გეგმა, საბჭოს სხდომაზე მაინც წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრება, თუ სად ხედავდა დაწესებულება თავის თავს, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, 6 წლის თავზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას სურს 6 წლის თავზე მოიპოვოს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი. ამასთან, მათ მიზანს წარმოადგენს უფრო დახვეწილი და თანამედროვე სასწავლო გარემოს შეთავაზება სტუდენტებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 2014 წლის 04 დეკემბერს გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში წარმოდგენილი საკონურსო საბუთები შეიცავენ განსხვავებულ ინფორმაციას კონკურსანტთა რაოდენობის შესახებ – „კონკურსანტთა სარეგისტრაციო ჟურნალით“ კონკურსანტთა რაოდენობა იყო 4, ხოლო „საკონკურსო საბუთების მიღება–ჩაბარების აქტით“ და „საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით“ – 6, თანაც „კონკურსანტთა სარეგისტრაციო ჟურნალში“ რატომღაც მითითებულია მხოლოდ კონკურსში გამარჯვებული და აკადემიურ თანამდებობაზე რექტორის ბრძანებით დანიშნული პირები;

3.2 2014 წლის 04 დეკემბერს გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში წარმოდგენილი საკონურსო საბუთები შეიცავენ განსხვავებულ ინფორმაციას ყველა გამარჯვებული კონკურსანტის მიერ მიღებული საკონკურსო ქულების შესახებ – მაგ., თამარ ბუკია–ვერულაშვილი – საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით 14 ქულა, ოქმის დანართით – 18 ქულა; მედიკო ბურდული – საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით 12 ქულა, ოქმის დანართით – 11 ქულა; ანნა არველაძე – საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით 15 ქულა, ოქმის დანართით – 10 ქულა; ნინო სამჭკუაშვილი – საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით 13 ქულა, ოქმის დანართით – 12 ქულა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის სანდოობა.

3.3 ოლეგ ეჯიბაძე დანიშნულია პროფესორის (მენეჯმენტის სპეციალობით) აკადემიურ თანამდებობაზე, რექტორის 2014 წლის 28 აპრილის ბრძანებით №2/9. შრომითი ხელშეკრულება ო. ეჯიბაძესთან გაფორმებულია 2014 წლის 1 მაისს. ხელშეკრულებაში მხარეთა დასახელებისას არაა მითითებული ოლეგ ეჯიბაძის სახელი და გვარი; ამასთან აკადემიურ თანამდებობად მითითებულია „სრული პროფესორი“, რაც 2013 წლის 6 სექტემბრის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების მოთხოვნებს არ შეესაბამება;

3.4 პროფესორის (ოლეგ ეჯიბაძე) და ასოცირებული პროფესორების (რომან მაისურაძესთან, ლალი ოქროცვარიძესთან, ქეთევან ტაბუცაძესთან, მედეა მჭედლიძესთან და სხვ.) შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებებში (დადებულია 2014 წლის 1 მაისს) მითითებულია, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან 4 წლის ვადით, რაც საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის მე–6 მუხლის, 1^3 პუნქტის მოთხოვნების თანახმად ითვლება უვადო ხელშეკრულებად, თუმცა ხელშეკრულებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია ხელშეკრულების ვადის გასვლა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ წესს. ხელშეკრულებაში არაა მოცემული ასევე სამუშაო ადგილი, რაც საქართველოს ორგანული კანონის,

საქართველოს შრომის კოდექსის მე–6 მუხლის, მე–9 პუნქტის თანახმად წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასახელებულ შენიშვნებთან მიმართებით განმარტა, რომ საკონკურსო კომისიის წევრებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-6 მუხლის შესაბამისად ზეპირი ფორმით. აკადემიურ პერსონალთან განსაზღვრული ვადით ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-6 მუხლის, 1² პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას. აღნიშნულ გარემოებად დაწესებულებას მიაჩნია ის, რომ აკადემიური თანამდებობა არჩევითია. შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ აუცილებლობას წარმოადგენს ახალი კონკურსის გამოცხადება. ექსპერტთა მიერ სწორად იყო აღნიშნული შეუსაბამობა კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთა ქულების შესახებ დანართ 1-ში, რაც არ ემთხვევოდა საკონკურსო ოქმი # 2-ში ამავე კონკურსანტთა ქულებს და წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან ექსპერტებს შეცდომით გადაეცათ ამ დანართის სამუშაო ვარიანტი (ელექტრონული ვერსია).

თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულების ვადებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პროფესორის და ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (მ.35) მითითებული 3 ან 4 წლის ვადით არჩევის შესაძლებლობა, რადგან ეს ეხება მხოლოდ ასისტენტ-პროფესორს და ასისტენტს, ხოლო პროფესორის და ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში ვადა განსაზღვრული არ არის.

საბჭოს წევრი, ლია ღლონტი დაინტერესდა, თუ რამდენი კრედიტი იყო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული უცხო ენების სწავლებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ენა, ინგლისური ან რუსული ენა, სტუდენტის არჩევანის მიხედვით, ისწავლებოდა 4 სემესტრის მანძილზე და მოიცავდა ჯამში 20 კრედიტს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, როგორ აპირებდა ის კონკურენციის პირობებში, სტუდენტების მოზიდვას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება თავისი მატერიალური ბაზითა და გამოცდილი აკადემიური პერსონალით გეგმავდა სტუდენტების დაინტერესებას. გარდა ამისა, დაწესებულება მოლაპარაკებას აწარმოებდა საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მათთან თანამშრომლობით მოხდებოდა სტუდენტებისათვის თანამედროვე სასწავლო გარემოს შეთავაზება. მისი განმარტებით, ყველა სტუდენტს შეეძლებოდა თითო სემესტრი საზღვარგარეთ წასულიყო სასწავლებლად. ამასთან, დაწესებულება ჯერ მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამით შემოდიოდა ბაზარზე, თუმცა უახლოეს მომავალში გეგმავდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასაც.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა თუ რა მოტივით გადაწყვიტა დაწესებულებამ, სტანდარტული წესდება გაეკეთებინა და არა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განკუთვნილი, ანუ ჰქონდა თუ არა დაწესებულების დამფუძნებელს სხვა რაიმე კომერციული ჩანაფიქრი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე არ გეგმავდა დაწესებულების დამფუძნებელი სხვა რაიმე კომერციული იდეის განხორციელებას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:20 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:27 საათზე.

ირინა ხანთაძემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 56^4-ემუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საერთაშორისო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 4060113209) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს. დაწესებულებას, რომელსაც ერთხელ უკვე უარი ეთქვა ავტორიზაციის მინიჭებაზე და განმეორებით შემოაქვს განაცხადი, ამ პირობებშიც კი ბევრი უზუსტობა ფიქსირდებოდა დაწესებულების დოკუმენტაციაში. ამდენი უზუსტობა მეტყველებდა მათ სისტემურ ხასიათზე. არსებული შენიშვნები ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ დაწესებულებაში პრობლემა იყო, ხარისხის მართვის სისტემაშიც, რაც მიანიშნებდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არათანმიმდევრულ მუშაობასა და რიგი საკითხების გაუაზრებლობაზე. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს საბჭოს სხდომაზე გრძელვადიან პერსპექტივაში დაწესებულების განვითარების კონკრეტული ხედვა.

2. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ტუფინაშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა რევაზ ხოფერიამ და ქეთევან ცეცხლაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა ორი საბაკალავრო პროგრამა: 1. ბიზნესის ადმინისტრირება და 2. საერთაშორისო ურთიერთობები. მისი თქმით, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამები დამტკიცებული იყო აკადემიის რექტორის 2015 წლის 26 თებერვლის N ბ/4 ბრძანებით და არა 2015 წლის 9 იანვრის Nბ/1 ბრძანებით, როგორც ეს მითითებული იყო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში.

ექსპერტის, თამარ ტუფინაშვილის განმარტებით,

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1.1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის „საინფორმაციო ტექნოლოგიები 2"-ის და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის „საინფორმაციო ტექნოლოგიები 2"-ის სწავლის შედეგებში მითითებული კომუნიკაციის უნარი იდენტურია - „შეუძლია მიღებული ცოდნის საფუძველზე განსაზღვროს და დამოუკიდებლად განავრცოს და გაიღრმავოს უნარ-ჩვევები საჭირო მიმართულებაში (ეკონომიკურ, ფინანსურ, სტატისტიკურ და სხვ.), აითვისოს მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები.";

1.2 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული სტუდენტის მიღწევათა შეფასების განმარტებები არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილს;

1.3 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში და პრაქტიკის სილაბუსში მითითებულია განსხვავებული წინაპირობები. კერძოდ, პრაქტიკის წინაპირობა სილაბუსით - სპეციალობის სავალდებულო კურსებია, კურიკულუმით – წინაპირობა არ აქვს.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით აკადემიას გაფორმებული ჰქონდა თანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტთან და სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ–სთან. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, მიმღები დაწესებულება სრულად აღიარებს სტუდენტის მიერ ტურიზმის, ფსიქოლოგიის და მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამებში გავლილ სასწავლო კურსებს და მიღებულ კრედიტებს. არცერთ აღნიშნულ პროგრამას თბილისის საერთაშორისო აკადემია არ ახორციელებს.

საბჭოს სხდომა დატოვა18:40 საათზე საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, „საინფორმაციო ტექნოლოგიები 2“ წარმოადგენდა ზოგად საბაზისო სასწავლო კურსს და ერთ შედეგზე გადიოდა ორივე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში. ამასთან, ჩანაწერი „და სხვა“ გულიხსმობდა სწორედ განსხვავებებს მათ შორის. შეფასების სისტემასთან მიმართებით, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნას და განიმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი.

მემორანდუმებთან მიმართებით, საბჭოს წევრი, ლია ღლონტი დაინტერესდა, თუ რა ნიშნით შეარჩია პარტნიორებად დაწესებულებამ კონკრეტულად ეს ორი ზემოთხსენებული დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტი სეუ და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებენ იმავე საგანმანათლებლო პროგრამებს, რისი განხორციელებაც სურს დაწესებულებას ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში. ამასთან, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა ჯერ მოპოვებული ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ჯერ არ აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

რევაზ ხოფერიას განმარტებით,

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი სახის შენიშვნები:

2.1 დაწესებულებაში არსებობს მხოლო 2 პროექტორი. 2-ზე მეტი ლექციის პარალელურად ჩატარება ამ ეტაპზე არ იქნება შესაძლებელი, ვინაიდან ლექციაზე პროფესორები იყენებენ PP პრეზენტაციებს. ვიზიტის პერიოდში აუდიტორიებში არ იყო დამონტაჟებული პროექტორები და განთავსებული კომპიუტერები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამებსა და სილაბუსებში (სასწავლო რესურსში) მითითებულია კომპიუტერებისა და პროექტორების გამოყენების საჭიროება, აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა უზრუნველყოფილი ვერ იქნება მხოლოდ 2 პროექტორის და აუდიტორიებში განსათავსებელი კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობის გამო;

2.2 დირექტორის 2014 წლის 17 ივლისის №/8 დადგენილების მიხედვით (და არა 2014 წლის 16 ივისის №/5 დადგენილებით, როგორც ეს მითითებულია დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში), დაწესებულებას სტრუქტურულ ერთეულად წარმოდგენილი აქვს აკადემიური პერსონალი. აღვნიშნავთ, რომ აკადემიური პერსონალი არ არის სტრუქტურული ერთეული. მათ მიერ და მათი წარმომადგენლობით შექმნილი ორგანო (მაგალითად, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო) კი შეიძლება იყოს დაწესებულების სტრუქტურული ერთეული. თვითშეფასების მიხედვით, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან დასტურდება დირექტორის 2014 წლის 16 ივლისის №/5 დადგენილებით.აღნიშნული არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან მითითებული დადგენილებით დამტკიცებულია დაწესებულების შინაგანაწესი. შინაგანაწესით კი არ დასტურდება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების დებულებაში მითითებული სტრუქტურა არ შეესაბამება ამავე დაწესებულების დირექტორის ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ სტრუქტურას. გარდა ამისა, დებულების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივი მონიტორინგის, კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის წარმართვის მიზნით იქმნება დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი. თუმცა, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე არის დეკანი, ხოლო წევრი - პროგრამის ხელმძღვანელი. ამ რეგულაციის მიხედვით, ირკვევა, რომ დაწესებულებას არ აქვს გააზრებული ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ფუნქცია, რაც შეუთავსებელია დაწესებულების მისიასთან. ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ფუნქცია არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირის უფლებამოსილება. აღნიშნულს ადასტურებს

დირექტორის 2014 წლის 11 სექტემბრის Nდ/33 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი დაინიშნა ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი - ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის წევრად.

აღსანიშნავია, რომ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტისთვის ხარისხის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა შედის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის უფლებამოსილებაში;

2.3 დაწესებულება განთავსებულია საოფისე ტიპის შენობაში, რომელიც მდებარეობს გიორგი სააკაძის II გასასვლელი N11ა, სადაც ავტომობილების მოძრაობა ინტენსიურია. ამიტომ, აუდიტორიებში შემოდის ავტომობილების მოძრაობით გამოწვეული ხმაური, რაც სასწავლო პროცესისთვის ხელშემშლელი ფაქტორი იქნება. აუცილებელია შენობას ჰქონდეს სათანადო ხმის იზოლაცია იმისთვის, რომ განათლების მიღების დროს სტუდენტები დაცულნი იყვნენ შემაწუხებელი ხმაურისაგან. აკადემიის მისიაა ისეთი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რომელიც ადაპტირებული იქნება არამხოლოდ ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და მის მოთხოვნებთან არამედ შესაბამისობაში იქნება ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. დაწესებულების სასწავლო გარემო არ შეესაბამება დაწესებულების მისიას;

2.4 კომპიუტერებში ჩატვირთულია სამომხმარებლო პაკეტის 2008 წლის ვერსია, თუმცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო კურსებით (საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 და საინფორმაციო ტექნოლოგიები 2) გათვალისწინებულია 2010 წლის ვერსიის შესწავლა. კომპიუტერები განთავსებულია არა აუდიტორიებში, არამედ კომპიუტერულ კლასში;

2.5 აკადემიის თვითშეფასებაში მითითებული იყო, რომ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დირექტორის 2014 წლის 15 სექტემბრის Nდ/29 დადგენილებით. თუმცა, განვითარების გეგმები დამტკიცებულია არა მითითებული აქტით, არამედ დირექტორის 2014 წლის 7 ივლისის N დ/23 დადგენილებით. ერთწლიანი გეგმა ეხება 2014-2015 წლებს. მისი მოქმედების ვადა იწურება ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულებიდან 3 თვეში. ვადა ასევე მცირდება გრძელვადიან გეგმაში, დაწესებულებას არ აქვს 6 წელზე გაწერილი გეგმა. ერთ წლიან გეგმაში გაწერილი მიზნები არ არის მიღწეული 2014 წელს. „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დანერგვა და გამომუშავება სწავლების პროცესში" ვერც 2015 წლის 25 ივლისამდე იქნება შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულებების წარმომადგენლებს დასახელებულ შენიშვნებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მატერიალური რესურსის ნაწილთან მიმართებით აღნიშნა, რომ შენობა, რომელშიც იგეგმებოდა ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა გადაცემული დაწესებულებას სარგებლობაში. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტთან, რომ შენობა საოფისე ტიპისაა და მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ხმაურს შესაძლოა ხელი შეეშალა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, მან აღნიშნა რომ შენობის სიახლოვეს არ აღინიშნებოდა ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა და ის აკმაყოფილებდა ქ. თბილისის მერიის მიერ დადგენილ მშენებლობის ყველა სტანდარტს. ამასთან, სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდებოდა დაწესებულების ფანჯრებში სპეციალური იზოლაციის ჩამაგრება. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, დაწესებულება მიმართავდა ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს და მოითხოვდა, სტუდენტებისათვის გზაზე გადასასვლელი ხიდის აშენებას. წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში განთავსებული იყო ადმინისტრაციის ოთახში, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთული იყო სამომხმარებლო პაკეტის 2008 წლის ვერსია, ხოლო კომპიუტერულ კლასში სამომხმარებლო პაკეტის 2010 წლის ვერსია იყო

ჩატვირთული. სტრატეგიულ გეგმებთან მიმართებით მან აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმები რეალური იყო და არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს. ამიტომაც, არ მოხდა მათი ვადის გასვლამდე, ახალი გეგმების დამტკიცება.

ირინა ხანთაძე დაინტერესდა, თუ რატომ ჰყავდა დაწესებულებას აკადემიური პერსონალი სტრუქტურაში გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტრუქტურაში აკადემიური პერსონალი მოხსენიებული იყო, როგორც კოლეგიური ორგანოს წევრები. მისი თქმით, აკადემიური პერსონალი წარმოადგენდა გუნდს და ის ფაქტი, რომ სტრუქტურულ ერთეულად იქნებოდნენ წარმოდგენილი, გაზრდიდა მათში პასუხისმგებლობის გრძნობას. ამასთან, ეს გარემოება არ ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქეთევან ცეცხლაძემ წარადგინა

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნები:

3.1 აღსანიშნავია, რომ თბილისის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებულ პროფესორი ქეთევან მარგიანი ამავდროულად არის სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

3.2 აკადემიური კონკურსის შედეგების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით ნანა ფაცაცია და დავით სუხიაშვილი არჩეულები არიან ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თბილისის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებულ პროფესორი ქეთევან მარგიანი არ წარმოადგენდა ამავდროულად სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორს.

საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ცენტრის რეესტრის თანამშრომლის ინფორმაცია და გამოირკვა, რომ ორი სხვადასხვა ადამიანი, იდენტური სახელითა და გვარით დარეგისტრირებული იყო ერთი პირადი ნომრის საფუძველზე, რომელიც ეკუთვნოდა თბილისის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებულ პროფესორის, ქეთევან მარგიანს. აღნიშნულის საფუძველზე გამოირკვა, რომ დასახელებული პირი არ წარმოადგენდა 2007 წლის შემდეგ სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის შესამოწმებლად ვიზიტის პერიოდში რამდენიმეჯერ მოხდა მითითებულ საიტებზე ლიტერატურის მოძიება, თუმცა უშედეგოდ. შესაძლოა, აღნიშნულის მიზეზი დროებითი ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო.

თამარ ტუფინაშვილმა ასევე განმარტა შემდეგი გარემოება, რომ დაწესებულების ინგლისურენოვან ვებგვერდზე განთავსებული იყო ქართულენოვანი ვებგვერდისგან განსხვავებული ინფორმაცია. კერძოდ, ფაკულტეტები (ბიზნესის, ტექნოლოგიური, ჰუმანიტარული, მედიცინის, მედიამენეჯმენტის, გეოგრაფიის), პროგრამების ჩამონათვალი - მაგისტრატურა, დოქტორანტურა, რომელსაც ვერ განახორციელებს დაწესებულების სახიდან გამომდინარე. აღნიშნულს შესაძლოა შეცდომაში შეეყვანა პოტენციური სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვა დაწესებულებაში და აღნიშნულს ემსახურებოდა ინგლისურეონავნი ვებ გვერდის არსებობა.

საბჭოს წევრი, ლია ღლონტი დაინტერესდა, თუ ზოგადად რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ საგანმანათლებლო საქმიანობის წამოწყება. მისი თქმით, იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის განხორციელებაც დაწესებულებას სურს, ახორციელებს 30-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ის საჯაროდ ვერ ისაუბრებდა მის სამომავლო გეგმებზე. მან აღნიშნა, რომ მთავარი ფაქტორი, საგანმანათლებლო სივრცეში შემოსვლის იყო ის საერთაშორისო კონტაქტები, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა დაინტერესდა, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, რა იქნებოდა სწავლის საფასური.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავიდან სწავლის ღირებულება იქნებოდა საშუალო სექტორზე გათვლილი, ხოლო სახელის მოხვეჭასთან ერთად მოხდებოდა საფასურის გაზრდაც. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავდა უცხოელი სტუდენტებისათვის კამპუსების აშენებას და ამით მათ დაინტერესებას.

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს მათი დაწესებულების მიერ გამოცემული საუნივერსიტეტო ჟურნალი და განმარტეს, რომ იგეგმებოდა აღნიშნული ჟურნალის სამ თვეში ერთხელ გამოცემა.

საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული ჟურნალი დაწესებულებას წელიწადში ერთხელ გამოეცა და უკეთესი ხარისხით.

საბჭოს წევრმა, ლია ღლონტმა აღნიშნა, რომ შემდეგში როდესაც ექსპერტები განმეორებითი ავტორიზაციის ვიზიტებში მიიღებენ მონაწილეობას, აუცილებლად გაეცნონ ექსპერტთა ჯგუფის ძველ დასკვნას, რათა უხერხული შემთხვევები საბჭოს სხდომაზე თავიდან იქნეს აცილებული.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:30 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 432-ით განსაზღვრა.

ირინა ხანთაძემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 432-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 405051786) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 432-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს რომ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშში აესახათ ის ცვლილებები, რასაც განახორციელებდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების საფუძველზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 19:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე